ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 141

ქ . დედოფლისწყარო, 20 ივნისი, 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრსა, (მისი დირექტორის მაია ყოჩიაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“, საიდენტიფიკაციო კოდი 228544046, მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ N1) და

მეორე მხრივ, ი/მ ,,ანჟელიკა ალვანჯიანის“, (შემდგომში “მიმწოდებელი“, პირადი №14001022522, მომსახურე ბანკი ს.ს. ,,ტერაბანკი“, TEBAGE22, ანგ № GE10KS0000001360106701) შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრისათვის „საოფისე მანქანა დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა“ – ს (cpv კოდი 30100000) მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადით შეადგენს 55,90 ლარს.

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარში)	სულ თანხა (ლარში)
1	კალამი	ცალი	4	1,00	4,00
2	კორექტორი	ცალი	7	1,20	8,40
3	გამომთვლელი(კალკულატორები)	ცალი	2	12,00	24,00
4	დამუშავებული ქაღალდი და მუყაო(ფერადი ფურცლები)	ცალი	26	0,75	19,50
	ჯამი				55,90

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება ერთჯერადად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების, საქონლისა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტის (სასაქონლო ზედნადების) წარმოდგენის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი.

7. პირსაგამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01% – ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედაგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9 . დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისირი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 26 ივლისამდე.

11.2 საქონლის მიწოდების ვადებია 2019 წლის 20 ივნისიდან 26 ივნისამდე.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი,	ი/მ ანჟელიკა ალვანჯიანი
დირექტორი მაია ყოჩიაშვილი	

Dedoplistskaro Municipality Center of Preschool and Out-of-School Education
Digitally signed by Dedoplistskaro Municipality Center of Preschool and Out-of-School Education
Date: 2019.06.20 15:31:53 +04'00'